„ყურანის მცოდნეს განკითხვის დღეს ეტყვიან: 'იკითხე და ამაღლდი. იკითხე მოზომილად და კარგად, როგორც კითხულობდი მიწიერ ცხოვრებაში, და შენი ადგილი იქნება იქ, სადაც შენ წაიკითხავ ბოლო აიათს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან (ალლაჰი იყოს მათი ორივეთი კმაყოფილი) : თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვოდობა მას): „ყურანის მცოდნეს განკითხვის დღეს ეტყვიან: 'იკითხე და ამაღლდი. იკითხე მოზომილად და კარგად, როგორც კითხულობდი მიწიერ ცხოვრებაში, და შენი ადგილი იქნება იქ, სადაც შენ წაიკითხავ ბოლო აიათს".

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ყურანის მკითხველს, რომელიც მის მიხედვით მოქმედებს და მუდმივად კითხულობს მას და იზეპირებს, როდესაც ის სამოთხეში შევა, ეტყვიან: "იკითხე ყურანი და ამაღლდი სამოთხის საფეხურებზე, წაიკითხე თართილით(მელოდიურად), როგორც კითხულობდი მიწიერ ცხოვრებაში, რადგან შენი ადგილი სამოთხეში დამოკიდებულია იმ აიათზე, რომელსაც ბოლოს წაიკითხავ".

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65054

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee